ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2895575

ნომერი: AR1446617

თარიღი : 05.10.2016

გაცემის თარიღი : 27.10.2016

გაცნობის თარიღი : 27.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:

- შპს ბანი 2007 კოდი: 206316388

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/10/2016 წ. AR1446617 განაცხადით მომართა დავით მახარაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებით, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. #34-ში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N01.18.09.004.061), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 22 სექტემბრიდან 2018 წლის 22 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 17/08/2016 წ. AR1432590 განცხადებით შესათანხმებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამორჩენილ იქნა XI სართულის გეგმა +33,20 ნიშნულზე. შესაბამისად, ითხოვს 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე განსახილველი, #AR1446617 განცხადებით წარმოდგენილი XI სართულის გეგმის +33,20 ნიშნულზე დართვას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი XI სართულის გეგმა +33,20 ნიშნულზე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაურთოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი XI სართულის გეგმა +33,20 ნიშნულზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაემატოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი XI სართულის გეგმა +33,20 ნიშნულზე.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.09.2016 წ. №2850321 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.